

ავტობიოგრაფია

მე ლენა ვახტანგი ასული კაპანაძე დავიბადე 1960 წელს ქ. ხაშურში. 1979 წელს დავამთავრე ხაშურის რაიონის სოფელ წაღვლის საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩავირიცხე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დავამთავრე 1983 წელს. განაწილების საფუძველზე 1983 წელს 18 ოქტომბერს დავინიშნე ხაშურის რაიონის პროკურორის სტაჟიორად. გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობაზე, 1985 წლის 13 მაისს ხაშურის რაიონის პროკურატურის გამომძიებლად. 1986 წლის 14 მარტს ხაშურის რაიონის პროკურორის თანაშემწედ, 1990 წლის 3 აგვისტოს ხაშურის რაიონის პროკურორის მოადგილედ. 1992 წლის 6 იანვარს ხაშურის რაიონის პროკურორად. 1997 წლის 15 აპრილს კასპის რაიონის პროკურორად, 2000 წლის 7 ნოემბერს ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორად 2001 წლის 4 აპრილს კვლავ კასპის რაიონის პროკურორად, 2002 წლის 1 თებერვალს გადავედი გლდან-ნაძალადევის რაიონულ პროკურორად, სადაც ვიმუშავე 2004 წლის 31 მაისამდე; ამჟამად უმუშევარი ვარ. რვაჯერ მაქვს მადლობა გამოცხადებული გენერალური პროკურორის მიერ. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში წესრიგისა და კანონიერების გამყარებაში შეტანილი ღვაწლის გამო დაჯილდოებული ვარ ღირსების მედლითა და ორდენით.

ვარ ქვრივი, მყავს ერთი ქალიშვილი, გვანცა წერეთელი.